საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია. კვირა, 20 ივლისი 1919 წ. კრიტიკამ ბოდა ქვეყნისა, შეგვიძლია! № 160

ბრძოლა

ფასი 1 მან.

გაზეთი ღირს: 1 თვით 25 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 1 მანეთი. განცხადების ფასი როგორც პირველ გვერდზე, ასე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—2 მან. სამგლოვიაროო განცხადება 40 მანეთი. ნისია განცხადებები არ დაიბეჭდება. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპ. № 24.

ტელეფონი 16—62.

ორგანო საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა.

გულ-მოკლული დედა მარიამ, მამა ნესტორ და ალექსანდრა (ხახატა), ძმები ნიკო და პეტრე, ბებიები მატა და პოინე, დეიდები პელაგი და პისტი, ბიცოლა ნინო, ბიძები: გიორგი, კონსტანტინე, ნიკო, ივანე და პროკოფი ცხომელიძენი, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობრებს, რომ 22 ივლისს, სამშაბათს, დილის 10 საათზე, ს. დვაბზუს წმინდა გიორგის ეკლესიაზე დანიშნულია წლის წირვა და პანაშვიდი მათი უსაყვარლესი

პატარა ნინას (ნინუკას)

ნესტორ მამულაიშვიოის ასულის მოსახსენებლად. (2—2)

მამა დარისპან და მამიდა მართა თევზაძენი, უღრმესის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და ამხანაგ-მეგობრებს, რომ აპრილის 23, ქ. გაგრაში ტრაღიკულად მოკლულ იქნა პირველის ერთად-ერთი ძვირფასი შვილი

ვარლამ (ვლადიმერ) დარისპანის ძე თევზაძე

რომლის დასაფლავებაც მოხდება ქ. ხაშურში (ხაშურის ეკლესიაზე). გამოსვენება საკუთარი სახლიდან კვირას, 27 ივლისს დღის 3 საათზე. (2—1)

დამწუხრებულნი: დედა სერმილო ალმასხანის ასული ჩხაიძისა, ძმები: დეკ. ეპიფანე, არონ, ანტონ, რძალი მარიამ ნიკიფორეს ასული და ძმის შვილები: გიორგი, შალვა და ნოე ჩხაიძეები აცნობებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი განსვენებული

აფთონ სილიგისტროს ძე ჩხაიძის

სულის მოსახსენებლათ გადახდილი იქნება კვირას, 20 ივლისს აცანის ოქონის ეკლესიაში დილის 11 საათზე.

ფრონტის დღე დაწვრილებითი პროგრამა **კვირა 20 ივლისი სასახლის ბაღი.**

საღამოს 6 საათიდან დიდი სეირნობა, ლატარია,ალეგრა. აუკციონი, კინემატოგრაფი: **„სახალხო გვარდიის დღე, 26 მაისი“ და საქართველოს დამფუძნებელი კრების გახსნა“. კონცერტი-კაბარე:** მონაწილეობენ: **სარაჯიშვილი, ინაშვილი, ანდრონიკოვისა,** ახალგაზრდა მგოსნები, მსახიობები მინიატიურისა ღა ცირკისა და სტომის სიმფ. ორკესტრი და ზურნა. **სახელმწიფო თეატრი:** 12 საათზე საქართველოს წარმომადგენელი ბრიტანეთში **დავით ღაღაშიძის** მოხსენება: „საერთაშორისო მდგომარეობა და დამოუკიდებელი საქართველო.

მეორე ქართული კლუბი
სახელოსნო კლუბი
მუშათა კლუბი

წარმოდგენები, სეირნობა, ლატარია-ალეგრა და აუკციონი

ბ ა ღ ე ბ ი: მუშტაიდი, ნაძალადევი, ორთაჭალა, ავლაბარი, ერთობის უბანი: 6 საათიდან დიდი სეირნობა, ლატარია-ალეგრა და აუკციონი.

1—1 **მთავარი მომწყობი კომიტეტი.**

„ფრონტის მეორე დღე“

პირველი „ფრონტის დღე“ გვიჩვენებს, რომ მთელს ჩვენს ხალხს, მეტადრე ჩვენს დემოკრატიას კარგად აქვს შეგნებული თვისი მოვალეობა ჩვენი სამშობლოს თავგანწირულ დამცველთა წინაშე. „ფრონტის დღე“ ნამდვილ დღესასწაულად გადააქცია ჩვენმა დემოკრატიამ. როგორც ყოველთვის გამოუჩენია მას თავოსნობა იმ საქმეებში, რომლებიც შეეხება მისთვის ძვირფას საგანს, „ფრონტის დღესაც“ მთელი დემოკრატიის თავოსნობისა და შემოქმედების ბეჭედი აჯდა. შემოწირულება ფრონტის სასარგებლოდ დიდი უნდა შემოვიდეს. მაგრამ შემოწირულებას თავის და თავად არა აქვს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა.

„ფრონტის დღის“ საზეიმო დღეთ გადაქცევა უფრო სხვა მხრით არის საყურადღებო: ის წრფელი სიყვარული, რომელიც ცალკ-ცალკე ყოველ მოქალაქის გულში ყოფილა ჩამარხული სამშობლოს მხსნელთა მიმართ, „ფრონტის დღეს“ შეერთდა, ცალკე ნაკადებიდან მღელვარე ზღვა შესდგა, ამ ზღვის ტალღები ჩვენი ქვეყნის ერთგულ ღარაჯებამდის მიგორდებიან და ბრძოლით დამაშვრალთ მოჰბანენ იმ წყლულებს, რომლებიც მათ ბრძოლაში მიიღეს, გაუგრილებენ ტანჯვით გაფიცხებულ გულს.

„ფრონტი ობლად გრძნობს თავსო“, გვითხრა ფრონტიდან ჩამოსულმა მის ერთმა მეთაურთაგანმა. „ფრონტის დღე“ უჩვენებს ჩვენ მხსნელებს, რომ მთელი ხალხი მათთან არის, მთელი ხალხი მათი მადლობელია; ყოველი მოქალაქე მათ წინაშე დავალებულად სთვლის თავს; ყოველი მუშა თავის დაზგასთან მდგომი, ლოცავს იმ მარჯვენას, რომელმაც მას შეარჩინა რეაქციის შემოსევისაგან რვა საათის სამუშაო დღე და გაუმჯობესებული შრომის პირობები; ყოველი გლეხი, როდესაც ყანაში ოფლს ღვრის, სასოებით შესცქერის იმ მკლავს, რომელმაც მას მისცა მეზამულეთა ტყვეობიდან განთავისუფლებული მიწა და რომელიც თავის მკერდით იფარავს მას ამ მიწების წასართმევად მოსულ მტრისაგან; ყოველი მოქალაქე, რომელიც თავისუფლად სწერს იმას, რაც უნდა, ლაპარაკობს იმას, რაცა სწამს ლოცულობს ისე, როგორც სინიდისი უკარნახებს, მადლობით იგონებს იმათ, ვინც იგი გაანთავისუფლა ნიკოლოზის ჟანდარმებისაგან, ვინც მას მიანიჭა ეს თავისუფლება და დღეს საქართველოს საზღვრებიდან ერეკება ამ თავისუფლების მტერს.

ყველა ამას ამცნობენ „ფრონტის დღეები“ ჩვენს დამცველებს და ეს გაუათკეცებს მათ ბრძოლის ხალისს და შეუმსუბუქებს იმ ტანჯვას, რომლის ატანაც უხდებათ მათ.

მაშ დეე რაც შეიძლება მეტათ საზეიმო და რაც შეიძლება მეტად მეტყველი იყოს **„ფრონტის მეორე დღეც“!**

დენიკინი და მთიელეგი

მთიელ ხალხთა ტრაღედიას ბოლო არ ეღება. უკეთესად შეიარაღებული, უკეთესად მოწყობილი და დამსჯელ რაზმების მოქმედებაში გამოწაფულ დენიკინის ჯარს, როგორც უკანასკნელი ცნობებიდან სჩენს, დაუმარცხებია და მორჩილებაში მოუყვანია ინგუშების ის ნაწილი, რომელიც ბარში ცხოვრობს. მაგრამ შესცდება, ვინც იფიქრებს, რომ „მოხალისეთ“ შეუძლიანთ თავისუფლად ამოისუნთქონ და თავი მთიელთა ბატონ-პატრონათ ჩათვალონ. ჯერ კიდევ არ დამორჩილებულა და გამწარებულ ბრძოლას ეწევა ინგუშების მთაში მცხოვრები ნაწილი და, რაც უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, მთელი დაღესტანი მზად არის ომი დაუწყოს დენიკინის ჯარებს, დაღესტნელთა შეიხ-ულ-ისლამი ხალხის სახელით უგზავნის „მოხალისეთა“ ჯარების სარდლებს ულტიმატუმს, რომელშიაც მოითხოვს რომ 24 საათის განმავლობაში „მოხალისეთა“ ჯარმა დაღესტნის საზღვრები დასტოვოს.

იქნება არც ერთი ფაქტი არ იყოს დენიკინის პოლიტიკურ ზრახვათა იმდენად მაჩვენებელი, როგორც მისი ჯარების მოქმედება დაღესტნის წინააღმდეგ. ჩვეულებრივი საბაბი, რომელსაც დენიკინელები იმიზეზებენ, როდესაც რომელიმე ადგილში შესევას მოინდომებენ, იმაში მდგომარეობს, რომ ამ ადგილის მცხოვრებნი ბალშევიკებს ემხრობიან, აქ ანარქიაა გამეფებული და საჭიროა წესიერების აღდგენაო. შეიხ-ულ-ისლამის ულტიმატუმში სამართლიანად არის აღნიშნული, რომ, ვისაც უნდა დასწამოთ ბალშევიზმისადმი თანაგრძნობა, დაღესტნის ხალხს, ყოველ შემთხვევაში, ამის სათქმელად არავითარი საბუთი არ მიუცია. წესიერება დაღესტანში, შედარებით სხვა ქვეყნებთან, არ დარღვეულა. იმასაც ვერ მოიმიზეზებს დენიკინი, რომ დაღესტანი რუსეთს მოშორდა და ამით რუსეთის სახელმწიფოს უღალატაო. შეიხ-ულ-ისლამი კატეგორიულად ამბობს, დაღესტნის მცხოვრებნი „ეკონომიურად რუსეთისაკენ იყურებიან“ და ამიტომ არავითარ „ღალატზე“ ლაპარაკი აქ არ შეიძლებაო: დაღესტანს „არავითარი ფრონტი არ გაუხსნია რუსეთის სახელმწიფოებრივობის წინააღმდეგ“. მაშ რად ექცევა დენიკინი დაღესტანს ისე, როგორც დაპყრობილ ქვეყანას? კითხულობს შეიხ-ულ-ისლამი. რად გზავნის მის სოფლებში დამსჯელ რაზმებს? რად ადებს კონტრიბუციებს? რათ ჰყრის იარაღს? დენიკინის კაზაკები რათ იკლებენ დაღესტნის მცხოვრებლებს? დაღესტნის ხალხს დენიკინთა ჯარისათვის „არ მიუცია არავითარი საბაბი შესევისა და ზემოთ მოხსენებულ მტრულ მოქმედებისათვის“, გადაჭრით აცხადებს შეიხ-ულ-ისლამი.

მაშ რით აიხსნება, მართლაც დენიკინის ჯარების შესევა დაღესტანში, ამაზე პასუხს ვიპოვით, თვით შეიხ-ულ-ისლამის ულტიმატუმში მოყვანილ ზოგიერთ ფაქტებს თუ ჩავუკვირდებით.

„დაღესტნის მცხოვრებთა 99 პროცენტზე მეტს მშრომელი ხალხი შეადგენს“, გვატყობინებს ულტიმატუმი. „რევოლიუციის ბედნიერ დღიდან მოყოლებული დაღესტნის ხალხი ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ შემოეღო თავის მშრომელ ხალხის ინტერესების შესაფერი წესები“, ნათქვამია ულტიმატუმის მეორე ადგილას. შეიხ-ულ-ისლამს იქნება აზრადაც არ მოსდის, რომ ეს რამდენიმე ფაქტი, რომლებსაც იგი სხვათა შორის აღნიშნავს და დიდ მნიშვნელობას არ აწერს, ნამდვილათ ყველაფერს გვიხსნის: დენიკინის ჯარების შესევა დაღესტნის საზღვრებში და მისი მტრული მოქმედება მცხოვრებთა მიმართ სწორეთ იმით აიხსნება, რომ დაღესტნის მცხოვრებნი სულ მთლათ მშრომელთაგან შესდგება, რომ რევოლიუცია მათ „ბედნიერ დღეთ“ მოსჩვენებიათ და უფიქრიათ რევოლიუციით უნდა ვისარგებლოთ და იმისთანა წესები შემოვიღოთ, რომელიც მშრომელ ხალხის ინტერესებს შეეფერებაო ბაქოსათვის აკაწკაწებს დენიკინი კბილებს, მაგრამ გზაზე, ბაქოსა და მას შუა დევს ქვეყანა, რომელიც მთლად მშრომელი ხალხი არის დასახლებული. მშრომელი ხალხი კი დენიკინის ბუნებრივი მტერია. თუმცა ჯერ მტრული მოქმედება ამ ხალხს არ დაუწყია, მაგრამ მას რევოლიუციის დაწყება გახარებია და დემოკრატიულ წესებზე ფიქრი გაუვლია თავში, —ეს დენიკინის თვალში იგივე მტრული მოქმედებაა მის წინააღმდეგ. აი რით აიხსნება მისი ჯარების თარეშობა დაღესტანში.

რომ ეს ასეა, ამას შეიხ-ულ-ისლამის ულტიმატუმში მოყვანილი სხვა ფაქტებიც გვიჩვენებს. დენიკინის ყაზახები ძალიან ავიწროვებენ სოფლებს, მაგრამ მათი მოქმედების მთელი სიმკაცრე ყველაზე მეტად დემოკრატიის მოწინავე ნაწილის—დაღესტნის პროლეტარიატის წინააღმდეგ ყოფილა მიმართული: ულტიმატუმში ხაზ-გასმით არის აღნიშნული, რომ დენიკინის ჯარები „ტეროროს ახდენენ თევზის მრეწველობაში მომუშავე მუშებზე და რკინის გზის ლიანდაგის გასწვრივ მცხოვრებზეო“.

ულტიმატუმში აღნიშნული ფაქტები დიდათ საყურადღებოა მთელი ამირ-კავკასიის დემოკრატიისათვის. თუ ჩვენში ჯერ კიდევ მოიპოვება ისეთი გულუბრყვილო ელემენტები, რომლებსაც იმედი აქვს, ჩვენ რუსეთის ერთგულნი ავრთ, რუსეთის ორიენტაციისათვის არ გვიღალატნია, ჩვენ ბალშევიზმთან საერთო არა გვქონია-რა, და მაშ დენიკინის ჯარების შემოსვლა ჩვენთვის საშიში არ არისო, მათ ყურადღება მიაქციონ დაღესტნის ტრაგედიას. აი ერი, რომელსაც არაფერი საერთო არ ჰქონია ბალშევიზმთან, რომელიც მუდამ რუსეთის ორიენტაციისა ყოფილა, რომელსაც არავითარი საბაბი არ მიუცია, რომ მას „რუსეთის მოღალატეობა“ დასწამოს ვინმემ და რომელსაც, მიუხედავად ამისა, დენიკინის ჯარი შეესია და ნაცარ-ტუტას ადენს მხოლოდ იმიტომ, რომ მის 99 პროცენტს მშრომელი ხალხი შეადგენს.

პრესა

მთავარი იარაღი, რომლითაც დენიკინელები ჩვენი რესპუბლიკის წინააღმდეგ იბრძვიან, არის სიცრუე და პროვოკაცია. „საქართველო ბალშევიკური ქვეყანაა“ აი ის ჭორი, რომელსაც დენიკინელები ისე დაჟინებით იმეორებენ, რომ დარბაისელი ხალხიც კი დაუჯერებიათ, ეკატერინოსლავის გაზეთ „რეჩში“ დაბეჭდილია პავლე დოლგორუკის წერილი საქართველოს შესახებ, მოგვყავს ზოგიერთი ადგილები.

„საბედისწერო როლი ითამაშეს რუსეთის რევოლიუციაში საქართველოს „სახელმწიფო მოღვაწეებმა“—ჩხეიძემ, წერეთელმა, გეგეჭკორმა და სხვათა. წერეთელი პარიზში ცდილობს საქართველოს დამოუკიდებლობა მოუპოვოს და ამას თავგამოდებული ასაბუთებს იმით, რომ ბალშევიკების პოლიტიკამ რუსეთი დაანგრიაო. გეგეჭკორი კი თფილისში ცოდვებს ინანიებს ბალშევიკებს წინაშე, რომელთაც იქ ძალა ხელში ჩაუგდიათ, და სალამს უძღვნის მათ... თავისუფალი სახელმწიფოების დაარსება, როგორც ეს მალოროსიაში იყო, მუდამ ბალშევიზმის პირველი კარები ყოფილა. და აი დღეს თავისუფალ საქართველოშიაც უკვე ბატონდებიან „სოვდეპები“ და კომისრები, ხმა-მაღლა და ახდილათ ლანძღავენ დენიკინს და მის არმიას, როგორც რევოლიუციის და საქართველოს მტრებს. და ბალშევიკები მოსკოვიდან განდევნილ იქნებიან, იგი საქართველოს სოვდეპიასაც გაუსწორდება. მისი ბედი ისევე გადაწყვეტილია, როგორც ჯერ „თავისუფალ“, დღეს კი ბალშევიკურ უკრაინის“.

ბრწყინვალე თავადი, რიურიკის ჩამომავალი, მოითხოვს, რომ დენიკინი დღესვე გაუსწორდეს საქართველოს:

„თავისუფალ საქართველოს სახელით ბალშევიკურ კერის გამაგრებამ ჩვენი ჯარის ზურგს უკან არ შეიძლება ამ ჯარის საქმეები არ გაართულოს, აუცილებლად გააძნელებს მის საბოლოო გამარჯვებას და შემდეგში ზედ-მეტს მსხვერპლს გამოიწვევს“.

წერილის ბოლო გვიმტკიცებს, რომ მთელი ეს უსირცხვილო ჭორი განგებ მოგონილია ინგლისის მოსატყუებლათ:

„საქართველო დღეს ინგლისის ფაქტიურ პროტექტორატის ქვეშ იმყოფება. ჩვენ მოკავშირეებსა და მეგობრებთა ჩვენ უნდა გულახდილად ვილაპარაკოთ... ჩვენი სიყვარული ინგლისისადმი რომელიც ასე რაინდულად გვიწევს გაჭირების წამს ფართო დახმარებას, გულწრფელია. და სწორეთ ეს სიყვარული ნებას გვაძლევს მისი ყურადღება მეგობრულად მივაქციოთ იმ გარემოებაზე, რომ საქართველოში ბალშევიკურ კერის აშენება ჩვენი გმირი ჯარის ახლო ზურგს უკან ზიანს მოუტანს არა მარტო რუსეთს: ეს მოვლენა, რომელიც ინგლისის პროტექტორატის ქვეშ ხდება, საზიანო იქნება თვით ინგლისისათვის და მის პრესტიჟისათვის აღმოსავლეთში“.

დოლგორუკი, კადეტთა ლიდერი და მათი პარტიის ერთი დამაარსებელთაგანი, ყოველთვის ცნობილი იყო, როგორც პირადათ წმინდა პატიოსანი და ჭკვიანი კაცი. მაგრამ თუ ეს ოდესღაც პატიოსანი კაცი ამისთანა უპატიოსნო ჭორებს ავრცელებს და თუ ეს ოდეს-

ღღეს

ბოლშევიკების ცნობით, კოლჩაკის ფრონტზე საბჭოთა ჯარების მხარეზე გადავიდა უაბარდოელთა და ჩაჩნების ორი პოლკი.

საბჭოთა ჯარმა ორლის ფრონტზე მიასის ქარხანა დაიკავა და მიიწევს ჩელიაბინისაკენ.

რიგაში შესდგა ლატვიის ეროვნული საბჭოს პირველი სხდომა, რომელშიც ულმანს მიანდო ეროვნული გაერთიანების მთავრობის შედგენა.

იტალიის ზოგიერთ ქალაქებში გაფიცვებია.

საზავო კონფერენცია მცირე აზიის ოკუპაციის საკითხს არჩევს.

ბულგარეთის საზავო დელეგაციას პარიზში ისე ცივად შეხვდენ, როგორც ოსმალეთისას.

ღაც ჭკვიანი კაცი, იმდენად ჭკუა-მოკლე გამხდარა, რომ ფიქრობს ეს დენიკინელების მიერ შეთითხნილი სიცრუით ინგლისის მთავრობა მოატყუოს (რომ ინგლისის მთავრობა, რომლის „ფაქტიურ პროტექტორატის“ ქვეშ იმყოფება, როგორც თვით ბრწყინვალე თავადი იუწყება „საქართველოს სოვდეპია“), მაშ დენიკინელთა საქმე მართლაც წაგებული ყოფილა: ღმერთი როცა ვისმეს დაღუპვას დააპირებს, მას წაართმევს ჭკუას და სინიდისს.

სანდროს სიკვდილი

(ჩემი დღიურიდან)

19 დეკემბერი 1918 წ. სად. სადახლო.

ისევ სადახლო! ეს მეოთხეთ... აქ ჩამოვედით გენ. ხმეტელაშვილი, პოლკ. ჭიჭიხია და მე. ეშელონი სანდარში დავტოვეთ და ცალკე ორთქლმავალით წამოვედით. გზაში კურდღელმა გადაგვირბინა და გულს მწუხარება დაეტყო. მაგრამ ვივიწყებ კურდღელს...

სადახლოში გენერ. წულუკიძე დაგვიხვდა. ალექსანდრე ბათალიონით სოფ. ლამბალოს მაღლობებზეა. გენ. წულუკიძეს მეტად მოღლილი და დაბნეული სახე აქვს.

ის ხომ დამარცხებულია!..

ჩვენი რაზმი დღეს უნდა გაეგზავნოს ეკატერინენფელდზე სანდარიდან გაჩაღდება ბრძოლა და ჩვენ გავიმარჯვებთ!..

გუშინ მოვიდა თოვლი. ირგვლივ უკვე დიდი თოვლია. სისხლი შეღებავს წმინდა თეთრ ზეწარს... წითელი სისხლი..

ისევ დაიწყო თოვა. საშინლათ თოვს...

ჩვენი მატარებელი უკვე გაეშურა სანდარისაკენ.

მალე ბრძოლა და გამარჯვება!..

19 დეკემბერი. ეკატერინენფელდი, ალიონი.

გუშინ მთელი დღე თოვდა. ასეთი დიდი თოვლი დიდი ხანია არ მინახავს... დადგა ცივი ზამთარი. იწყება მძიმე და სუსხიანი ომი... აქ ჩვენ საკმაო ძალებს ვუყრით თავს... მოდის ახალი ნაწილები... აქ დაგხვდა სანდრო და გიორგი ხიმშიაშვილი. ისინი ობლათ იყვნენ და ჩვენმა ჩამოსვლამ ფრთები შეასხა. ჩვენ ვეხუმრებით სანდროს მის უკანასკნელ ტელეფონგრამის გამო: „მალე მოგვეშველეთ; იქნებ უკანასკნელათ გელაპარაკებით“. სანდრო ჯავრობს და თან იცინის...

ხვალ შეტევას ვიწყებთ და დავამარცხებთ მტერს... მწამს გამარჯვება...

ეკატერინენფელდი დიდი, მშვენიერი და კულტურული სოფელია. ქუჩები ელექტრონით არის განათებული და ბევრ სახლში პიანინო დგას... როდის ვეღირსებით ამას ჩვენ სოფლებში!?

19 დეკემბერი. ეკატერინენფელდი. დილის 11 საათი.

ეს არის დასრულდა ბრძოლა!..

საშინელი, მოულოდნელი და მძიმე ბრძოლა..

ჩვენ გავიმარჯვეთ, მაგრამ ძვირათ დაგვიჯდა ეს გამარჯვება... მოგვიკვლეს ძვირფასი. შეუდარებელი და უბადლო სანდრო... მწუხარება, მძიმე და გარდაუვალი მწუხარება გვიპყრობს ჩვენ!..

მე და ალექსანდრე ცოცხალი დავრჩით და გავიმარჯვეთ. ერთმა ტყვიამ ალექსადრეს ზურგზე ქურქი გაუხვრიტა, მაგრამ ხორცს არ გაჰკარებია... სანდროს კი, შიგ გულში მოხვდა და მაშინვე გააცხებია სული.

ამ ბრძოლაში ბევრი სხვაც დაიხოცა; მრავალმა ძვირფასმა ამხანაგმა დასდო აქ თავი და მსხვერპლათ შეეწირა ქვეყანას.

ეს იყო სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა, რომელიც სწყვეტდა ჩვენს მომავალს, ჩვენს ისტორიულ ბედს!..

მტერი ღამეც ყოველ მხრივ გარს შემოგვერტყა. გათენებისას იგი იერიშზე გადავიდა, დაიკავა სოფლის კიდეები, გაამაგრა იქ ტყვიის მფრქვეველები და ყველა ჩვენი ზარბაზნები ხელთ იგდო... შეიქნა საშინელი მდგომარეობა, ჩვენ ან ლაჩრულათ, უსიცოცხლოთ უნდა ტყვეთ ჩავბარებოდით აღფრთოვანებულ მტერს და ამით ქვეყანა დაგვეღუპა, ან და გაგვეჩაღებია საშინელი ბრძოლა და ბრძოლაში დავხოცილიყავით...

ჩვენ გავაჩაღეთ ბრძოლა! ყველა იბრძოდა, როგორც განწირული. დაცემულ ამხანაგის ადგილს მისი მეზობელი იქერდა, ყველა მარტო გამარჯვებაზე ფიქრობდა და დაჭრილ-დახოცილების გამოტანაზე აღარ ვფიქრობდით. ალექსანდრეს, სანდროს და მე სხვადასხვა მოწინავე ხაზი გვეკავა და ჩვენი მაგალითით სხვებს ვამხნევებდით.

მე ძლიერ დამშვიდებული ვიყავი, რადგანაც ვხედავდი გვარდიელებში ანთებულ ბრძოლის ცეცხლს და ვგრძნობდი, რომ ეს ხალხი ან გაიმარჯვებდა ან მთლათ დაიხოცებოდა...

ბრძოლა თანდათან მწვავდებოდა... უეცრად მოირბინა ჩემთან გვარდიელმა და მითხრა: „სანდრო მოჰკლეს“!..

ლახვარათ ჩამესო გულში და კიდევ უფრო გავაჩაღეთ ბრძოლა.

თეთრი ზეწარი სისხლით შეიღება აქა-იქ უმოძრავოთ იყვნენ ჩამხობილი თოვლში დახოცილი გვარდიელები... მოირბინა მეორე გვარდიელმა და მითხრა: „ალექსანდრე მძიმეთ დასჭრეს“! ამან მთლათ ამირია გონება და სიცოცხლის ხალისი დამიკარგა. მე სირბილით ჩავყევი ბრძოლის ხაზს და ვამხნევებდი გვარდიელებს, ამ დროს წავაწყდი ძვირფას სანდროს.

ის პირაღმა ეგდო შუა გზაზე, მისი სახე ოითქო იღიმებოდა...

„ამხანაგებო!—გადავძახე გვარდიელებს,—ხომ ხედავთ,—მოგვიკლეს სანდრო მაისურაძე! უკან დასახევი გზა ჩვენ აღარ გვაქვს. მხოლოდ გამარჯვება გვიხსნის!!. და შევსძახე „ურა“. მთელ ხაზზე დაიგრიალა „ურა“-მ და გვარდიელები წინ გაექანენ. ლაჩრილებიც „ურა“-ს გაჰკიოდენ და ამხნევებდენ მებრძოლთ..

ჩვენ ავიღეთ მტრის მიერ დაკავებული სახლები, დავატყვევეთ რამოდენიმე აფიცერი და მრავალი ჯარის კაცი და როდესაც „ურა“-ს ძახილით არტილერიაში შევიჭერით, იქ უკვე დაგვხვდა ჩვენი ალექსანდრე და ქრისტაფორე რომლებიც მეორე გვერდიდან უტევდენ მტერს. ალექსანდრე დაჭრილი არ იყო და ჩვენ ერთმანეთს გადავეხვიეთ...

ეხლა ჩვენ მივსდევთ დამარცხებულ მტერს... ქაქუცა ჩოლოყაშვილი ცხენოსანი რაზმით დაედევნა მას... ყველა საშინლათ დაიღალა... ფეხები ძლივს დაგვაქვს...

ძვირფასო, დაუვიწყარო სანდრო!.. ჩვენ შური ვიძიეთ... ველით მტრის ახალ შემოტევას... ეხლა მზათა ვართ!..

ეხლა თფილისს ველაპარაკეთ.

გამარჯვება და სიკვდილი...
სიხარული და ტანჯვა...

ვალიკო ჯუღელი.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

19 ივლისი.

ბალშევიკების ცნობები.

მოსკოვი. ივლისის 18. **სარატოვი.** ივლის. 16. თავისით მიატოვეს პოზიციები და ჩვენ ჯარებს დანებდა ყაბარდელთა მე-4, ჩაჩნების 1 და მე-3 კოლჩაკელთა პოლკები. **კიევი.** ივ. **მოსკოვი.** ივლის. 18. „ხოდინკა“-ს ბანაკებში ლენინმა წითელ ჯარისკაცებს უთხრა „ვერსალის დღე ეს მთელი ქვეყნის იმპერიალიზმის დამარცხების დღეა. ივ. 14. პარიზის მუშებმა ბურჟუაზიის მიერ მოწყობილი გამარჯვების დღესასწაული ჩაშალეს. ივლისის 20 ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის მუშებმა საერთო პოლიტიკური გაფიცვები გამოაცხადეს. დასავლეთის პროლეტარიატმა მოკავშირეებს ხელი შეუშალა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ გალაშქრებაში. მან იცის, რომ კოლჩაკი უკვე დამარცხდა და ეს ცხადია. ცხადია ისიც, რომ დენიკინის დამარცხებაც მოახლოვებულია. ამას მოყვება პროლეტარიატის გამარჯვება დასავლეთში, სადაც მუშათა მოძრაობა ბალშევიკურ ხასიათს ღებულობს და არ არის შორს ის დღე, როდესაც მთელი ევროპა გაერთიანდება ერთ საბჭოთა რესპუბლიკაში, რომელიც მთელ ქვეყანაზე მოსპოს კაპიტალისტების ბატონობას. მოსკოვიდან ფრონტზე წარმოდგენების გასამართავად მსახიობებს გზავნიან. **№-ის არმიის შტაბი.** ივლისის 17. №-ის დივიზიამ მიასის ქარხანა დაიჭირა. ჩელიაბინსკზე შეტევა გრძელდება. **მოსკოვი.** ივლ. 17. ლატიშთა დელეგაციამ გამოაქვეყნა ნოტა, რომელშიაც აცხადებენ, რომ რიგაში ლატვიის ეროვნულ საბჭოს პირველი სხდომა შესდგა. დაესწრნენ საფრანგეთის, ინგლისის, ამერიკის და ესტონიის მთავრობის, ებრაელ-პოლონელების და ბალტიის მხარის ბურჟუაზიის წარმომადგენლები. მთავრობის მეთაურმა ულმანმა საბჭოს გზნცხადება წარუდგინა სამინისტროს გადადგომის შესახებ, რომელიც მიღებულ იქმა. საბჭომ ულმანს დაავალა შეადგინოს ეროვნულ გაერთიანების მთავრობა. სამხედრო ცნობა. ივლ. 18. დასავლეთის ფრონტი, მურმანის მიმართულებით ჩვენ ოპასიო დავიჭირეთ. ნარვის მიმართულებით კრასნაია-გორკას ორივე მხარეზე რამდენიმე სოფელი დავიჭირეთ. ბულუისკის ჩრდილ. ჩვენ მხარეზე მტრის 80 კაცი გადმოვიდა უგის რაიონში სად. პლიუსის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენ სოფლები დავიჭირეთ. პსკოვის სამხრეთით, 12 ვერსზე მოწინაღმდეგე მდ. ველიკიასთან განვდევნეთ. დაბა დუბროვის დასავლეთით ჩვენ ტატროსკოე დავიჭირეთ. **სამხრეთის ფრონტი.** ალექსანდროვსკის ჩრდილოეთით, 7 ვერსზე, მტრის რაზმი დავამარცხეთ, ხელში ჩავიგდეთ სამხედრო მასალა. ეკატერინოსლავის მიმართულებით ჩვენ კრასნოუტსკი და ბოგოდუხოვი დავსტოვეთ. ბელოგორიდის მიმართულებით ჩვენი ჯარი შეტევაზე გადავიდა. ნოვოხოპერზე ჩვენი ჯარი შეტევას განაგრძობს. ბორისოგლების მიმართულებით ჩვენი ჯარი ჩრდილოეთით 2 ვერსზე გადმოვიდა. ბალაშოვის მიმართულებით ჩვენ რამდენიმე სოფელი დავიჭირეთ. **სამხრეთის ფრონტი.** ცარიცინის რაიონში ჩვენი ჯარი აკავებს მტერს, რომელიც ელტონის, ბასკუნჩაკის და ზლატოუსტის მიმართულებით ჩვენი ჯარი შეტევას განაგრძობს. ზლატოუსტან ჩვენი შეტევა გრძელდება. ჩელიაბინსკის რკ. გზ. ჩრდილოეთით ჩვენ 1000 ტყვე წამოვიყვანეთ, ხელში ჩავიგდეთ ტყვიის მფრქვეველები და სხვა სამხედრო მასალა. პერმის რაიონში ჩვენ სადგ. ხრებეტოურალსკი დავიჭირეთ. **ნაუენი.** ივლის. 17. ნეაპოლში რკინის ჩამომსხმელები გაიფიცნენ. ისინი ხელფასის მომატებას მოითხოვენ. ნეაპოლის დანარჩენმა მუშებმა თანაგრძნობის ნიშნად საერთო გაფიცვა გამოაცხადეს. ქალაქში ელექტრონის სადგურის მუშები გაიფიცნენ რომში საერთო გაფიცვები გრძელდება ყველა მაღაზიები და რესტორანები და კეტილია. რკინის ჩამომსხმელი და ტრამვაის მუშებიც გაიფიცნენ. გაფიცვით იმუქრებიან სახალხო მასწავლებლებიც. ნეაპოლში მოხდა შეტაკება.

ფრანგული პრესის ცნობები.

პარასკევს შუადღისას შესდგა მოკავშირეთა უმაღლ. საბჭოს სხდომა, რომელზედაც განაგრძობდნენ მცირე აზიის ოკუპაციის საკითხის განხილვას. იმავე დღეს მოხდა საახალწინო, პასუხისმგებლობის, საზღვრების და სხ. კომისიების სხდომები, რომალზედაც განიხილეს გერმანიის აღმოსავლეთის, საფრანგეთის და ბელგიის საზღვრების საკითხი. უმაღლესმა საბჭომ მოისმინა კომისიების მოხსენებები და აგრეთვე ამერიკის პროექტი იმ კომისიების მუშაობის გაერთიანების შესახებ, რომელნიც საზღვრებს იმუშავებენ.

გერმანული პრესის ცნობები.

ეოფრს უსაყვედურეს, რომ ომის გეგმის შედგენის დროს მან მხედველობაში არ მიიღო გერმანიის მიერ ბელგიის ნეიტრალიტეტის დარღვევის შესაძლებლობა. ეოფრმა განმარტა, რომ ეს მუდამ ჰქონდა მას მხედველობაში.

ინგლისური პრესის ცნობები.

ბულგარეთის საზავო დელეგაცია თედოროვის მეთაურობით პარიზს გაემგზავრა კონფერენციისთვის გასაოცარ წინადადების წარსადგენად. კონფერენციაზე თედოროვს ისევე ცივად შეხვდენ, როგორც ოსმალებს.

ავსტრიის ხელშეკრულებას ხვალ დაამთავრებენ. ამერიკელთა აზრით, შესაძლებელია, რომ კონფერენცია დღეს საღამოთი უნგრეთის საკითხის განხილვას შეუდგეს, უნგრეთიდან პარიზში დამაკმაყოფილებელი ცნობები მიიღო.

უკანასკნელი ცნობები

ბაქოს შრომის ბირჟის დახურვა.

ქალაქის საბჭოს დადგენილებით დახურულ იქნა შრომის ბირჟა. მიზეზი უსაღსრობაა.

სამხედრო საველე სასამართლო პეტროვსკში.

მოხალისეთა სარდლობის განკარგულების თანახმად პეტროვსკში გაიხსნა უმაღლესი სამხედრო შარიატის სასამართლო და სამხედრო საველე სასამართლო, სადაც გარჩეული იქნება დაღესტანში მომქმედი ბალშევიკების საქმე. მუსულმანების საქმეს გაარჩევს შარიატის სასამართლო, ქრისტიან ბალშევიკებისას, საველე სასამართლო. შეპყრობილია სულ 13 ბალშევიკი.

ტრაპიზონში მომხდარ აფეთქების მიზეზი.

მოხალისეთა ლაშქარს განზრახვა ჰქონდა ტრაპიზონიდან რუსების მიერ დატოვებული ქონების გატანა. ნაწილი ქონებისა გაიტანეს ნოვოროსიაში. მეორე ნაწილი კი, რომელიც უმთავრესად იარაღისაგან შესდგებოდა, 12 ივლისს უნდა დაეტვირთნათ ხომალდებზე. როდესაც მოახლოვდა დატვირთვის დრო, არსენალში ოთხ ადგილას ერთ და იმავე დროს მოხდა აფეთქება. ქალაქის ხანძარმა ნაწილი დაზიანდა, ბევრი სახლები დაინგრა. ხმებია, რომ სრულიად დარუსებულ ინგლისელების სადარაჯო ერთი რაზმი.

ყუბანის საკითხი.

ყუბანის დელეგაციის თავმჯდომარემ ლ. ბიჩმა საზავო კონფერენციას პარიზში შემდეგი შინაარსის მოთხოვნილება წარუდგინა: ყუბანის ტერიტორია იცნონ, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომლის მთავრობაც პასუხისმგებელი იქნება ხალხის წარმომადგენლების წინაშე. ყუბანი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, უნდა შედიოდეს ხალხთა ლიგაში.

ახალი ამბები

ფრონტის დღე. გუშინ დილის 8 საათიდანვე ქუჩებს გამოცოცხლება დაეტყო. ყვავილებით და მწვანით მორთული ავტომობილები, ტრამვაის ვაგონები და მაღაზია-სახლებზე დროშები, ქალაქს სადღესასწაულო ელფერს აძლევდა. 11 საათზე თავისუფლების მოედანზე ხალხმა თავი მოიყარა. მოვიდნენ ჯარის ნაწილები მუსიკით. აქ მგრძნობიარე სიტყვა წარმოსთქვეს სამხ. მინისტრმა ნ. რამიშვილმა და ვ. ჯუღელმა, ამის შემდეგ პროცესია გაემართა სასახლისაკენ, სადაც მას მიესალმა მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია, რის შემდეგაც ჯარის ნაწილები წავიდნენ ქალაქის სხვა ტ სხვა უბნებში. ქუჩებში ტ დაწესებულებებში დილიდანვე დაიწყო ყულაბებით ფულების შეგროვება. ფრონტის პირველი დღე იმედს იძლევა, რომ ჩვენი დემოკრატია დაამტკიცებს თავის განუსაზღვრელ სიყვარულს რევოლიუციონური ფრონტისადმი და ამით საშვალება ექნება მას გაახაროს ძვირფასი „პატარა ბავშვი,—ფრონტი“.

✦ **ფინანსთა მინისტრის** მოხსენების თანახმად მთავრობამ დაადგინა დაევალოს ყველა სამინისტროებს მოახდინონ დაუყონებლივი განკარგულება თავის უწყებებში, რათა ყოველგვარი სახელმწიფო შემოსავალი დაუყონებლივ შედიოდეს ხაზინაში არსებული კანონის თანახმად. დაევალოს აგრეთვე შინაგან საქმეთა მინისტრს, რათა მან მიიღოს საჭირო ზომები გადასახადების ასაკრეფად.

✦ **ხოლერა.** 13 ივლისს ოქრომჭედლის ქუჩაზე, № 32, ხოლერით ავად გახდა სოფიო დოლაბეგოვის ქალი. ავადმყოფი საავადმყოფოში გარდაიცვალა. გამოირკვა, რომ ის ავადმყოფი ჩამოსულა ყაზახიდან.

✦ **იაფი პური.** 25 ივლისიდან თფილისის ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილება დაიწყებს იაფ ფასიანი პურის მიცემას სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულების მოსამსახურეებზე, სულზე ნახევარ ფირვანქას 3 მ. და 40 კ, გირ. თითონ დაწესებულებას შეუძლია მისცეს 3 მ. 50 კ. გ. მუშა მოსამსახურეებს კერძო სამრეწველოებისა პური მიეცემათ მას შემდეგ, როდესაც თათბირი, რომელიც დანიშნული 21 მკათათვეს, გამოარკვევს პურის ცოწოდების საკითხს.

✦ **აბრეშუმის პარკის შესყიდვა ქუთაისის გუბერნიაში.** ქუთაისიდან ი. ქუთათელაძისაგან შემდეგი დეპეშა მივიღეთ: მთავრობის მიერ დაარსებულ შესყიდვის ბიუროს მეცადინეობით პარკის ყიდვა დაიწყო ქუთაისის, ხონის, სამტრედიის, სენაკის, ზუგდიდის, ჩოხატაურის, ოზურგეთის და ლანჩხუთის ბაზრებზე. ფასები 650 მანეთამდეა ფუთზე. მოსავალი საშუალოზე მეტია. ზოგიერთ ალაგას მოსავალი ჩინებულია.

✦ **კანტ. „განათლება“** აგენტების საყურადღებოთ აცხადებს, რომ დღეიდან მათ გაზ. „საქართველო“ აღარ გაეგზავნებათ. ფულის გამოუგზავნელობის გამო კანტორა დღეს გაზეთებს უკანასკნელათ უგზავნის კოპიტნარში სანადირაძეს.

✦ **გამოვიდა თაგუნას წიგნი.** წიგნში მოთავსებულია 35-ზე მეტი იუმორისტული მოთხრობები, ფელეტონები და ლექსები და წინ უძღვის ავტორის იუმორისტული ბიოგრაფია სულ შიგ 206 გვერდია (XII+194) და ღირს 20 მ. თაგუნას წიგნის მთელი გამოცემა შეიძინა გასავრცელებლად ამ. კავკ. კოოპერატივთა კავშირმა და ამ დღეებში დარიგებული იქნება გასაყიდათ.

კრებები

საპროფესიო კავშირი პროლეტარების ნემსი იწვევს საზოგადო კრებას (ველიკოკან. 28 სახალხო უნივერსიტეტის სადგომი) ორშაბათს, 21 ს მკათათვეს საღამოს 5 საათ.

— დღეს საღ. 6 ს. თავის ბინაზე შესდგება საქ. ახალ. მარქსისტ. ორგანიზ. ცენტრალურ კომიტეტის და საკანტროლო კომისიის შეერთებული კრება.

— ორშაბათს, საღამოს 5 ს. შესდგება 3 რაიონის ახალგაზრდა მარქსისტთა საზოგადო

კრება კოლექტივის ბინაზე (კახეთის ქ. № 1).

— კვირას, 20 ივლისს დილის 10 ს. სახალხო უნივერსიტეტის სადგომში (ველიკოკნიაჟესკაია № 28) შესდგება საერთო კრება ჰურის გამომცხობ მუშათა კავშირის საქმეს.

ფრონტის დღისათვის

სალამი ფრონტს!

1

სალამი და გამარჯვება
რესპუბლიკის ჯარებს,
ვინც მზეს ჰფიცავს
და ხმლით იცავს
ყველა ციხის კარებს!

2

სალამი და გამარჯვება
მამაც გვარდიელებს;
ჩვენს იმედს და სასოებას,
მტერთა შიშის მგვრელებს!

3

ვაშა! ვაშა, ჩვენს რაინდებს!
ვაშა საქართველოს!
სიმთა ჟღერით,
მხნე სიმღერით
ვცლი ამ სადღეგრძელოს!

გ. ქუჩიშვილი.

ფრონტის დღე.

დღეს უქმეა, ზეიმია,
დღესასწაულს იხდის ფრონტი,
გმირი მხედრობით ამაყობს
სამშობლოს ცის ჰორიზონტი.

ჩვენს ქვეყანას დასანგრევად
ოთხი მხრიდან მოსდგომიან,
მაგრამ იქ მყოფ ქართველ ჯარსა
აქამდისინ ვერ სჯობნიან!

კვლავ გულმკერდსა ტყვიას უშვერს,
კვლავ მახვილით საზღვარს იცავს,
მტერს ერთ ნაბიჯს არ დაუთმობს,
საქართველოს მზესა ჰფიცავს.

თუ მთაწმინდა თფილისს დასცქერს
გადარჩენილს, დაუნგრეველს,
ჩვენს ჯარს უნდა ვუმადლიდეთ
ცეცხლის ალში—ცეცხლის მფრქვეველს.

მოქალაქევ, გაიღვიძე,
გამოიღე შენი წვლილი,
ფრონტზე მყოფი შენი მხსნელი
შენი ძმაა, შენი შვილი...

ვაშა, ვინც ფრონტს მიაშურებს,
ხელს გაუწვდის მადლიანსა.
გაუმარჯოს საქართველოს,
ჯარს და წითელ გვარდიასა!

გიგო ხეჩუაშვილი.

მუშა ძალებს.

19 და 20 ივლისი „ფრონტის დღეებია“.

დემოკრატია სიხარულით ივონებს და მთელი სულით და გულით სალამს უძღვნის იმ საუკეთესო შვილებს, რომელნიც მკერდით იცავენ რევოლიუციის მონაპოვართ გარეშე თუ შინაურ მტრებისაგან.

ჩვენ კარგად უნდა გვქონდეს შეგნებული, რომ ფრონტი მაშინ არის მაგარი, როცა „ზურგი“ მასთან არის, მის ნაბიჯებს თანაუგრძნობს, სიხარულით ეგებება. ამიტომ ჩვენი, მუშა ქალების, მოვალეობაა მხურვალე მონაწილეობა მივიღოთ „ფრონტის დღის“ ღირსეულად ჩატარებაში.

ყველაფერი დავივიწყოთ და ენერგიული დახმარება აღმოვუჩინოთ „ფრონტის დღეს“, რითაც კი ძალა შეგვწევს.

მუშა ქალი.

კვირა, 20 ივლისის ცერემონიალი.

1) ყულაბებით ფულის მოგროვება თფილისის ყველა უბნებში.

2) დილის 10 საათზე ბავშვების პროცესია, მუსიკით და ხოროთი, დროშებით და ყვავილებით, ქალაქის ყველა უბნებიდან გაემართება რუსთველის ქუჩისკენ, სადაც სახელმწიფო თეატრისა და ალექსანდროვის ბაღებში გაიმართება ბავშვების დღესასწაული მრავალი გასართობებით.

3) დილის 11 საათზე სამხედრო ტაძრის გალავანში გაიმართება თფილისის გარნიზონის ჯარისა და სახალხო გვარდიის პარადი. პარადის დროს ჰაერში იფრენენ ჰაეროპლანები.

4) 12 საათზე სახელმწიფო თეატრში, საქართველოს ელჩი ინგლისში ბ-ნი დავით ღამბაშიძე წაიკითხავს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „საერთაშორისო მდგომარეობა და დამოუკიდებელი საქართველო“.

5) საღამოს 6 საათიდან: მუშტაიდში, ორთაჭალაში, ავლაბარში, ნაძალადევში და თფილისის ყველა კლუბებში სეირნობები გაიმართება ლატარია-ალეგრით, კონცერტებით და წარმოდგენებით საუკეთესო არტისტებისა და ლიტერატურულ ძალთა მონაწილეობით. ზეიმი ყველგან დილის 5 ს. გასტანს.

6) ტრამვაის მიმოსვლა ქალაქში ნაშუაღამევის პირველ საათამდე იქნება.

ამხანმგებო! ჩვენი საუკეთესო ამხანაგები სოჭის ფრონტის სანგრებში სხედან, საშინელ პირობებში ცხოვრობენ და მზად არიან ყოველი ტანჯვა აიტანონ, ოღონდ კი ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკა დაიცვან შავი ძალების თავდასხმისაგან. ვუჩვენოთ, რომ ჩვენც სულით და გულით მათთან ვართ!

ფრონტის სამინისტროში

ტყიბულის მუშების მოთხოვნილება.

ტყიბულის მაღაროების მუშებმა სატარიფო პალატას წარმოუდგინეს შემდეგი მოთხოვნილებანი: 1 ივლისიდან მოემატოს ხელფასი იმათ, ვინც ღებულობდა 400 მანეთიდან 60 პროცენტი. ვინც ღებულობოა 900 მანეთზე მეტს 25 პროც., ხოლო მაღაროებში მომუშავეთ მოემატოს ამას გარდა 50 პროც.

მოთხოვნას მუშები ასაბუთებენ იმით, რომ ცხოვრება ძლიერ გაძვირდა. საერთოდ მუშები მოითხოვენ, რომ ტყიბულის მაღაროს მუშათა ხელფასი გათანასწორებულ იქნას სხვა დარგების მუშათა ხელფასთან. ჯამაგირების გადიდების გარდა მუშები მოითხოვენ საერთო ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას სასურსათო საკითხის მოგვარებით და სხ.

მუშების წარმომადგენლის ცნობით ტყიბულის მაღაროებში შრომის ნაყოფიერება იმდენათ გაიზარდა, რომ 800 მუშა აკეთებს ახლა იმდენს, რამდენსაც 1918 წელს აკეთებდა 2300 მუშა.

მუშათა მოთხოვნას სატარიფო პალატა ახლო ხანში გაარჩევს.

ტარიფის შემუშავება.

სატარიფო პალატამ შეიმუშავა მთელი რიგი ტარიფებისა თფილისის და პროვინციის დიდი კავშირებისათვის. შემუშავებული ტარიფები წარდგენილი იქნება დასამტკიცებლათ სატარიფო პალატის მახლობელ სხდომაზე.

თუთუნის ქარხნებში მომუშავეთა პროტესტი.

თუთუნის ქარხნებში მომუშავეთა კავშირმა პროტესტი განაცხადა სატარიფო პალატის იმ გადაწყვეტილების შესახებ, რომლის ძალით თუთუნის ქარხნებში მომუშავეთა ხელფასი უნდა გადიდებულ იქნას მხოლოდ 35 პროცენტით. კავშირი მოითხოვს ამ საკითხის ხელ-ახალ გარჩევას და აუცილებლათ მიაჩნიათ ხელფასის გადიდება 60 პროცენტით მაინც. კავშირი მოითხოვს აგრეთვე, რათა სატარიფო პალატის პრეზიდიუმმა ნება დართოს მექარხნეებს მისცენ მუშებს ავანსის სახით ჯამაგირის 25 პროცენტი.

მუშებისთვის სანოვაგის მიცემის გამო.

სატარიფო პალატის ინიციატივით ქალაქის მოურავი, ორშაბათს 21 ივლისს საღამოს 7 საათზე ქალაქის საბჭოს დარბაზში, იწვევს თათბირს მუშების და მოსამსახურეთათვის პირველ საჭიროების საგანთა იაფ ფასებში მიცემის შესახებ. ამ თათბირზე მოწვეულია წარმომადგენლები მუშების და „ხაზეინებისა“ ორგანიზაციათა,—აგრეთვე ბანკების, კოოპერატივთა და სხვა საზოგადო და კერძო დაწესებულებათა წარმომადგენლებიც.

ქალაქის თავის გრძანება მილიციისადმი

ჩემ და მილიციის უფროსის მიერ მიღებულმა ზომებმა ჯერ კიდევ არ მოგვიტანეს დადებითი შედეგები. საგრძნობლათ შემცირება ბოროტმოქმედების და მასთან ნაყოფიერი ბრძოლა მარწმუნებს, რომ მილიცია გაჯანსაღების გზაზე სდგას და ახლო მომავალში შეიქნება ერთ ძლიერ ძალათ, რომელიც დაიცავს წესრიგს და დემოკრატიულ წყობილებას ჩვენს დედა ქალაქში.

მაგრამ ზოგიერთი მილიციონერები განაგრძობენ ძველი გზით სიარულს. იღებენ ქრთამებს და ხშირათ უმიზეზოდ შეურაცყოფას აყენებენ მცხოვრებლებს. ამ დღეებში ადგილი ჰქონდა ფრიად სამწუხარო ფაქტს. მილიციონერმა შეურაცყოფა მიაყენა ყველასაგან პატივცემულ პუბლიცისტს და საზოგადო მოღვაწე გ. მ. თუმანოვს. დამნაშავე მილიციონერი შეპყრობილია.

მილიციონერებს ევალებათ ზრდილობიანათ მოეპყრან მოქალაქეებს და მხოლოდ უკიდურეს შემთხვევებში, როდესაც დამნაშავე გაუძალიანდება და არ წაყვება მილიციონერს კომისარიატში, შეუძლიან ძალით წაიყვანოს იგი უფროსთან.

ჩემ მიერ მიღებული ცნობებით, კლუბებში ადგილი აქვს ქაღალდის თამაშს. ზოგიერთი კომისრები ამას ხელსაც კი უწყობენ, მაგალითად, მე 3 უბნის კომისარმა კვესაძემ და მისმა თანაშემწე ქანთარიამ მიიღეს ერთ კლუბიდან თვე-ნახევრის განმავლობაში 61 ათასი მანეთი. ეს დამტკიცებული არის დოკუმენტებით და მოწმეების ჩვენებით. ბოროტ-მოქმედები, რომლებიც ჩირქს სცხებენ მილიციას, ისე გათამამდენ, რომ დაკარგეს ნამუსი. განუცხადებიათ—ფული ჩვენს უფროსებს უნდა გადავცეთო. ერთი კომისართაგანი მილიციის უფროსის მიერ შენიშნულ იყო, რომ იგი კლუბისაგან ქრთამს იღებდა. რადგანაც ამ უკანასკნელს ვერ დაუმტკიცდა დანაშაული, იგი მხოლოდ დათხოვნილ იქნა სამსახურიდან. კვესაძე და ქანთარია კი ციხეში სხედან და გამოვლენ იქიდან მხოლოდ სასამართლოს მიერ მისჯილი დანაშაულის მოხდის შემდეგ. რომ თავმდებობის ქვეშ არ იქნენ განთავისუფლებულნი ზემოხსენებული პირნი ისინი მილიციის უფროსის, ან შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელზე იქნებიან ჩარიცხულნი. ასეთივე ბედი ეწვევათ ყველა მათ, ვინც თავის კარიერას ზემოხსენებულ კომისრების დაგვარათ დაამთავრებენ. მადლობას ვუცხადებ სისხლის სამართლის და საერთო მილიციის უფროსებს, რომლებიც არ იშურებენ ძალას და ენერგიას მილიციის განჯანსაღებისათვის.

მილიციის უფროს ვავალებ: შემოიტანოს თხოვნა სამსახურიდან დათხოვნის შესახებ, მეცხრე უბნის კომისარმა არჯევანიძემ. 2) დაითხოვეთ სამსახურიდან მექრთამეობისათვის მესამე უბნის კომისარი კვესაძე (მისი საქმე გადაეცეს სასამართლოს. 3) დაითხოვოს სამსახურიდან შეპყრობილი და სასამართლოზე გადაცემული მესამე უბნის კომისრის თანაშემწე ქანთარია. 4) დროებით მესამე უბნის კომისრის მოვალეობის აღსრულება დააკისროს კარტოზიას, მეცხრე უბნის—ქუთათელაძეს. თფ. ქალაქის თავი **ბ. ჩხიკიშვილი.**

სომეხთა ეროვნულ საბჭოს არჩევნების გადადება

თფილისი. ივლისის 18. ვინაიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობები მოსდის, რომ საქართველოს მიწა წყალზე მცხოვრებ სომხებს მინდვრებში მუშაობის დაწყების გამო უძნელდებათ საქართველოს სომეხთა ეროვნულ საბჭოს არჩევნებში მონაწილეობის მიღება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ საჭიროდ აღიარა, რომ სომეხთა ეროვნული საბჭოს არჩევნები გადაიდოს მინდვრებში მუშაობის გათავებამდე, რათა საქართველოში მცხოვრებ ყველა სომეხს მიეცეს თავისი პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებებით სარგებლობის საშუალება; ამასთანავე ერთად მთავრობას მიზან-შეწონილად მიაჩნია, რომ აღნიშნული არჩევნები ერთ და იმავე დროს მოხდეს საქართველოს ყველა იმ ადგილებში, სადაც სომხები სცხოვრობენ და არა სხვადასხვა დროს, როგორც ამას აპირებდა სომეხთა ეროვნული საბჭო. ამას გარდა მთავრობამ დაადგინა, რომ სოფლად აქტიური და პასიურ საარჩევნო უფლებით სარგებლობა შეუძლიანთ მხოლოდ ადგილობრივ სოფლის სომხურ ეროვნების მცხოვრებლებს, ქალაქად კი, იმავე ეროვნების იმ პირთ, რომელთა საქართველოს რესპუბლიკის ქვეშევრდომობა გამორკვეული იქნება, ამა წლის მაისის 27-ს დამფუძნებელი კრების მიერ მიღებულ და გაზ. „საქართველოს რესპუბლიკის“ ამა წლის ივნისის 16, № 122 გამოქვეყნებულ ქვეშევრდომობის კანონის სწორ საფუძველზე.

(ს. დ. ს.)

მოქალაქენო! ნუ დაგავიწყდებათ, რომ „სულით და გულით მოძღვნილი მცირედიც შეიწირების“! ჩვენი დემოკრატიის დამცველთათვის ძვირფასი იქნება ის ყურადღება, რომელსაც ხალხი მათდამი გამოიჩენს თავის თუნდაც მცირე შეწირულებით,

---

გაქრს მუშათა შორის

რეზოლიუცია მიმდინარე მომენტზე.

10 ივლისს შესდგა ბაქოს სოც.-დემ. რაიონულ ორგანიზაციათა წარმომადგენლების კონფერენცია, რომელიც სხვათა შორის მიმდინარე მომენტსაც შეეხო. კონფერენციის მიერ მიღებული რეზოლიუცია იმით არის საყურადღებო, რომ ის უარყოფს ამ რამდენიმე თვის წინად მიღებული რეზოლიუციას ამავე საგანზე, რომელიც აღიარებდა რუსეთში საბჭოთა მთავრობას.

ამ რეზოლიუციის მიღების შემდეგ, როგორც მოხსენებელი გვქონდა, ორგანიზაციიდან და აგრეთვე ცენტრალური ორგანო „ისკრიდან“ გავიდნენ საბჭოთა მთავრობის მომხრენი.

მიღებული რეზოლიუცია შემდეგს შეიცავს:

1) ევროპის ცენტრალურ ქვეყნების რევოლიუციონურ-სოციალისტურმა მოძრაობამ ჩაუგდო ხელში რევოლიუციონურ დემოკრატიას სახელმწიფოს მართვა-გამგეობის აპარატი. მუშათა მოძრაობას გამარჯვებულ ქვეყნებში და ახალშენების მცხოვრებთა აჯანყებებს მიჰყავს პროლეტარიატი კაპიტალისტურ გაბატონებულ ქვეყნებისა დემოკრატიზაციის და ძველ სოციალურ ურთიერთობანი [illegible] საშუალებით პროლეტარიატის დიქტატურის საბოლო ეტაპისაკენ, რაც ნიშნავს საბოლოო მიზნის, სოციალიზმის დამყარებას.

2) რევოლიუციონურ მოძრაობის ზრდა და განვითარება ხდება მთელ ქვეყნიერობაზე იმ დროს, როდესაც საბჭოთა რუსეთის განზრახვა დაემხო შეძლებულ კლასთა პოლიტიკური ძალა-უფლება, ვერ განხორციელდა და ვერ შესძლო მან თავისი საკუთარი ძალ-ღონით, ხუთი წლის ომისაგან დაფლეთილ რუსეთის ფეხზე წამოყენება.

იმ დროს, როდესაც რუსეთის პროლეტარიატი. საბჭოთა დიქტატურის წყალობით, განკერძოებული, მოწყვეტილი არის საერთაშორისო პროლეტარიატისაგან და სულს ღაფავს მსოფლიო კონტრ-რევოლიუციის კლანჭებში, ძლიერმა მსოფლიო მუშათა მოძრაობამ უნდა გაუწიოს დახმარება რუსეთის პროლეტარიატს და იხსნას იგი იმპერიალისტების ბასრ კლანჭებისაგან.

3) რუსეთის რევოლიუციონურმა პროლეტარიატმა და ახლად დაარსებულმა სახელმწიფოებმა მიზნად უნდა დაისახონ, როგორც მსოფლიო, ისე დენიკინ-კოლჩაკის რეაქციონურ ძალებთან ბრძოლა, უნდა მიიღონ ყოველივე ზომები აღდგენილ იქნას მთლიანი რევოლიუციონური ფრონტი, რომლისთვისაც საჭიროა არის: ა) მჭიდრო კავშირის დაჭერა დასავლეთ ევროპის პროლეტარიატთან ბ) რევოლიუციონური დემოკრატიის მთელი ძალების გამოყენება კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ. პირველიც და მეორეც შესაძლებელია განხორციელდეს რუსეთში მხოლოდ მაშინ, თუ ძალა-უფლება მშრომელი კლასის ხელში იქნება, მოხდება დემოკრატიზაცია სახელმწიფო წყობილების, მოწვეული იქნება დამფუძნებელი კრება, აღდგენილ იქნებიან ადგილობრივი თვითმართველობა და სხვა. ყოველივე ეს საჭიროა შევაგნებინოთ მუშათა კლასს და რევოლიუციონური დემოკრატიის იმ ნაწილს, რომელიც ბალშევიკების უტოპიურ აზრებს იზიარებს.

4) რევოლიუციის ინტერესები გვიკარნახებენ, ყოველგვარი დახმარება აღმოვუჩინოთ საბჭოთა რუსეთს და ახლად დაარსებულ სახელმწიფოებს კონტრ-რევოლიუციასთან ბრძოლაში.

5) საერთაშორისო რეაქციას სურს ახლად დაარსებული სახელმწიფოები ააბხედროს საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ და მათის დახმარებით თავიანთი საქმეები აკეთონ. ამ ერთა პროლეტარიატმა არ უნდა დაუშვას ეს, და უნდა აიძულონ თავიანთი მთავრობები—შეებრძოლონ კონტრ-რევოლიუციას.

ამ მიზნების მისაღწევათ და რევოლიუციის მონაპოვართა შესარჩუნებლათ საჭიროა ამიერ-კავკასიაში: ა) გლეხების და მუშების შეკავშირება ბ) მჭიდრო კავშირის დამყარება ამიერ-კავკასიის მუშებს და გლეხებს შორის ენერგიული ბრძოლა დემოკრატიულ წყობილების განსამტკიცებლათ“.

ამ რეზოლიუციის შესახებ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ბაქოს კომიტეტის ორგანო „ისკრა“ შემდეგს სწერს: „კონფერენციას გადასაწყვეტი ჰქონდა მეტად მძიმე და რთული საკითხი. ეს იყო დღევანდელი მომენტის შესაფერი ტაქტიკური ხაზის გამონახვა, ჩვენი მტრები მარჯვენიდან და მოწინააღმდეგენი მარცხნიდან დარწმუნებულნი იყვნენ, რომ სოციალ-დემოკრატებმა საბოლოოდ დასტოვეს თავიანთი პოზიციები, მაგრამ კონფერენციამ დაუმტკიცა ამათ, რომ მუშათა კლასის პარტია, სოციალ-დემოკრატია თავს არ მოიხრის იმათ წინაშე, ვინც ცეცხლითა და მახვილით ცდილობს თავის ბატონობის აღდგენას და არც იმათ წინაშე, ვინც მოჭარბებულ გრძნობათა წყალობით გულუბრყვილოთ ფიქრობს, რომ სოციალიზმის სამეფოს დამყარება შესაძლებელია ხიშტებით.

კონფერენციაზე აშკარად გამოირკვა, რომ რევოლიუცია განსაცდელშია, რაც წითელი ზოლივით გამოსჭვივის მასში და რომლის თანახმად მახვილი მიმართულია როგორც შინაურ, ისე გარეშე კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ.

ს.-დ. პარტიაში

თფილისი. 17 ივლისს შესდგა მესამე რაიონის კოლექტივის სხდომა. განსახილველი იყო შემდეგი საკითხები: 1) გვარდიაში პარტიული მუშაობის გაღვივება; 2) საერთო ფართო პარტიული კრების მოწვევა; 3) ჯარლინსკის მუშების წარმომადგენელის განცხადება; 4) „ობოზის“ მუშების შეკავშირება და მათი წარმომადგენელის დამტკიცება; 5) პარ-

ტიულ მუშაობის გადათვალიერება; 6) წვრილმანი, მიმდინარე საკითხები.

პირველი საკითხის შესახებ კრებამ გადასწყვიტა: ვინაიდან გვარდიაში პარტიულ მუშაობას უნდა მიექცეს ყურადღება, ამიტომ საჭირო არის ეს მუშაობა მიენდოს ამხ. ჩუთლაშვილს და ი. ბარამაშვილს.

მეორე საკითხის შესახებ გადასწყვიტა მოიწვიოს პარტიული კრება იმ დროისათვის, როდესაც თფილისის კომიტეტი და შეერთებული კომისია შეიმუშავებდეს საერთო გეგმას მომავალში პარტიული მუშაობის შესახებ, რათა კოლექტივს საშუალება ექნეს მთლიანი მოხსენებით გამოვიდეს პარტიულ კრებაზე.

მესამე საკითხი შეეხებოდა კარლინსკის მუშების განცხადებას, რათა კოლექტივს გამოენახა საშუალება ერთი ოთახი ეშოვა იმ შენობაში, სადაც კოლექტივია მოთავსებული, ამის შესახებ კოლექტივმა გამოსთქვა მწუხარება, რომ ეს საკითხი მას არ შეეხება, რადგან შენობა დაკავებული აქვს ავლაბრის სახალხო უნივერსიტეტს, და ახლო მომავალში თვით კოლექტივიც სტოვებს ამ ბინას.

„ობოზის“ მუშების შესახებ საკითხი კოლექტივმა მოისმინა მთავარ შტაბთან არსებულ „ობოზის“ მუშები, რიცხვით 50 კაცი ჩაეწერნენ პარტიაში, შეკავშირდენ და წარმომადგენლად გზავნიან კოლექტივში ამხ. კ. ჭელიძეს და ნ. კამალოვს, რომლებიც კოლექტივმა დაამტკიცა.

მეხუთე საკითხი,—წვრილ საწარმოო დარგებში პარტიულ მუშაობის გადათვალიერება იყო, კოლექტივმა იქონია ამის შესახებ მსჯელობა და იმ კომისიას, რომელშიდაც შედიოდენ ამხ. ნ. ბედენაშვილი და დ. ჩუთლაშვილი, დაემატა კიდევ ორი წევრი არ. უმბრიევო და ი. ბარამაშვილი.

კოლექტივმა განიხილა სანდრო მაისურაძის სახელობაზე წიგნთსაცავ-სამკითხველოს გამგეობის მიმართვა კოლექტივისადმი, და დაადგინა საკითხველოს გაუწიოს დახმარება, ფულით, წიგნებით, აირჩია კომისია, რომელშიაც შედიან ამხ. ი. ბარამაშვილი, ო. ბაქრაძე და ა. უმბრიევი, რომელთაც ევალებათ შეკრიბონ შემოწირულება ფულითა და წიგნებით. კრების დასასრულ განხილულ იქნა წვრილი განცხადებანი, „იაჩეიკების“ წარმომადგენლებს წინადადება მიეცათ შეაგროვონ „იაჩეიკები“ სისტემატიურად და მოაწყონ მეცადინეობა, პრეზიდიუმს დაევალა გაგზავნოს ამხანაგები „იაჩეიკებში“ სამუშაოდ.

მდივანი **ო. ბ—ძე**

მუშათა შორის

თფილისი. 11 ივლისს მოხდა ტრამვაის მუშა-მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირის გამგეობის არჩევნები. არჩევნებში მონაწილეობას ღებულობდა შემდეგი პარტიები: საქ. სოც.-დემ. პ. № 1, სოც. ფედ. პ. № 2, სოც.-რევოლიუც. პ. № 4, დაშნაკელები № 3, და რუს. სოც. დემ. პ. № 5. გამგეობაში გავიდა: № 1—7 კაცი, № 2—0, № 3—1, № 4—1 და № 5—2. სარევიზიო კომისიაში არჩეულ იქნენ 3 კაცი სამივე საქ. სოც. დემ. პრეზიდიუმში გავიდენ: თავმჯდომარე პ. მეიფარიანი, თავმჯდ. ამხ. გ. უსეინაშვილი მდივანი არტ. ჩაჩუა, წევრი ჭელიძე ყველა საქ. სოც. დემ.

პროფესიონალურ კავშირის გამგეობამ 14 ივლისს სხდომაზე გადასდო 1000 მან. გაფიცულ მუშების მრეცხავებისა და მღებვართა სასარგებლოდ, 500 მ. სისიმანდანის (გუმბრის მაზრა) ქარხნის დამშეულ მუშათა სასარგებლოდ და 200 მან. პროფეს. კავშ. საბჭოსთან ახლად დაარსებულ სანდრო მაისურაძის სახელობის წიგნ.-სამკითხვ. სასარგებლოდ.

არტ. ოფეთელი.

ძ. თელავი. 10 ივლისს შრომის მინისტრის რწმუნებულის კალენიკე ჯამბერიძის და ვარლამ კაპანაძის მეთაურობით, შესდგა თელავში რამოდენიმე დარგის მომუშავეების საერთო კრება. დაესწრო 70 მუშამდე. თავმჯდომარეთ იქნა არჩეული შაქრო ქვახარჩიაშვილი, მდივნათ ვარლამ კაპანაძე. პროფესიონალური კავშირის შესახებ ვრცელი მოხსენება გააკეთა ამხ. ჯამბერიძემ, რომელმაც აღნიშნა კავშირების დიადი მნიშვნელობა მუშათა კლასისათვის. მანვე გააცნო კრებას შრომის მინისტრის განკარგულებანი. შემდეგ ილაპარაკა ვ. კაპანაძემ, რომელმაც მოუწოდა ყველა დარგის მუშებს ერთათ შეკავშირება, რვა საათის სამუშაო დღის ცხოვრებაში გატარება და სხვ.

ილაპარაკეს მუშებმაც ისინი აღნიშნავდენ ხაზეინების აღვირ-წახსნილობას, რომლებიც სარგებლობენ ჩვენი შეუკავშირებლობითო.

ილაპარაკა კიმოთიძემ, რომელმაც აღიარა ნაჭრობით მუშაობის მოსპობა და თვიურათ მუშაობის დაწესება, ამგვარ აზრს აკრიტიკებენ ჯამბერიძე და კაპანაძე, რომლებმაც გაარკვიეს, როგორც ნაჭრობით მუშავობა, ისე თვიურის და კვირეულის. კრება დიდი ყურადღებით და ხანგრძლივი ტაშის ცემით შეხვდა პროფესიონალურ კავშირის დაარსებას. აირჩია კომისია, რომელსაც დაევალა დანარჩენი დარგის მუშების კრების გამართვა და შემდეგ ყველა დარგებიდან მუშების საერთო კრების მოწვევა, სადაც არჩეულ იქნება კავშირის გამგეობა, სარევიზიო კომისია და მიიღება წესდება. **X.**

პროვინცია

სად. სუფსა. სუფსის კოოპერატივი „იმედი“, თვალსაჩინო როლს ასრულებს სუფსის საზოგადოებისთვის, მაგრამ მას არ აქვს მიქცეული სათანადო ყურადღება. ყველა საზ. კრებას ვხვდებით მოუმზადებლათ, რაც ძლიერ აზიანებს კოოპერატივს საქმეს. მე მინდა ერთ უმთავრეს მხარეს მივაქციო ყურადღება. ეს არის კოოპერატივის ანგარიშის სწორეთ წარმოება. ამ მხრით სუფსას არ ახსოვს, რომ კოოპერატივის ანგარიშის შესახებ დასკვნა სარევიზიო კომისიისა სწორეთ გამომდგარიყოს. ეს მიეწერება იმას, რომ იჩემებენ და არ იციან თვითონაც შეცდომაში შედიან და ხალხიც შეცდომაში შეჰყავთ. ამავე დროს კოოპერატივის მტრები თავის საქმეს აკეთებენ. სუფსის კოოპ. „იმედი“-ს სარევიზიო კომისიის და გამგეობის წევრათ კარგა ხანია არის ბ-ნი ა. დ—ძე, რომლის წყალობით არც ერთი ანგარიში იმისი ნაჩვენები ჯერ არ გვახსოვს, რომ სწორი გამომდგარიყოს. მისი ანგარიშის წყალობით ერთ წელს ფულის ამკრეფი დარჩა საჭირო, რომ დესაც პარკის ფულს დააკლდა და ნაკლები დარჩა გაწერილი. 1917 წელს 8 იანვარს, კრებაზე მიღებული დასკვნა სარევიზიო კომისიის მიერ წარმოდგენილი, რომელიც მიიღო საზოგადოებამ, ისევ შესაცვლელი დარჩა და ხელმეორეთ იქნა კრება მოწვეული, ვინაიდან ანგარიშს დააკლდა 1000 მანეთი. 1918 წელს ივლისის 15 ანგარიშში საზოგადო კრებამ მიიღო სარევიზიო კომისიის მიერ წარმოდგენილი ანგარიში და დაამტკიცა, მაგრამ განზე არის დარჩენილი 3300 მანეთი სიმინდის ოპერაციის, რომელიც ჯერ გაუსწორებელია და ასე თუ ისე, შეიძლება კოოპერატივს გადაახდევინონ, თუ მაშინდელმა გამგეობის წევრმა ი. ს—ემ არ გადაიხადა, მაგრამ რაღაც მანქანებით ეს პიროვნება მაინც არის კოოპერატივში. 1918 წლის უკანასკნელი ანგარიში ხომ სულ უკუღმა წაიყვანა. 206 ათასი მანეთის „აბაროტზე“, რომელიც კასაში იყო შესული, თავის 12 კაპ. პროცენტით სარევიზიო კომისიამ ბ-ნ ა. დ—ემ თავის ანგარიშით კიდევ 12 კ. პროც. დაადო, რომლითაც დააკლდა საქონელს 7000 მანეთამდე, ვინაიდან მანეთზე დარჩა დადებული 12 კ.—24 კ. პროცენტი. ასეთი ანგარიშის წყალობით არ არის გასაკვირი, თუ ერთ გამგეობის წევრს (თავმჯდომარეს) ს. ჟ—ს დააკლდა დღიდან კოოპერატივში შესვლისა ორი თვის განმავლობაში 4000 მ., მიუხედავათ იმისა, რომ მან ეს იცოდა. ის დარწმუნებული იყო, რომ აღმოჩნდებოდა საბოლავო რევიზიის დროს. მაგრამ არამც თუ ეს ფული, მათი ასეთი ანგარიშით საქონელსაც კი დააკლდა 7000 მანეთამდე. ბოლოს მოიწვიეს ინსტრუქტორი. რომელმაც აღმოუჩინა შეცთომები სარ. კომის. ანგარიშებში და გამოირკვა, რომ საქონელს არ აკლდა და იმ ფულის ნაწილი სასადილოში (განზ. ამავე კოოპ.) არის გადატანილი. დაწვრილებით საქმის გამოკვლევა კი ძალიან ძნელია, ვინაიდან ანგარიში არ არის კარგათ ნაწარმოები. ერთი აშკარაა, რომ აღნიშნულ პიროვნებას სდომებოდა მოპარვა. ის შესძლებდა ოთხ თვეში გაესწორებია ის დანაკლისი, მაგრამ ის ენდო ანგარიშს ღა ანგარიშმაც ის მოატყუილა. აღსანიშნავია ისიც, რომ როდესაც ეს პიროვნება კოოპ. შედის სამუშაოდ, მის წინააღმდეგ ხელათ იკრიბება ჩუმი ოპოზიცია და ჩვენ ვიცით, ეს ოპოზიცია კოოპ. დაქვეითებისაკენ არის მიმართული. სხვათა შორის, ასეთი იყო 1917 წელს, როდესაც ს. ჟ—ი და ჯ. ტ. მაშინდელ გამგეობის წევრობის დროს უნდა შეეძინათ ნავთის ბაკი, მაგრამ ბ-მა ორთვალამ მოათავსა წერილი გაზეთ „სოციალ დემოკრატის“ № 118-ში, რის გამოც გამგეობის შემადგენლობა იძულებული დარჩა გადამდგარიყო. ამით კი ხელი შეეშალა ბაკის შეძენის საქმეს.

გააკეთეს თავიანთი საქმე მათ, ვისთვინაც საჭირო იყო. მხოლოდ წააგო საზოგადოებამ რომ ვერ შეიძინა ნავთის ბაკი. ასეთი ამბავი მოხდა გასულ წელსაც. აღნიშნულ პიროვნებას შეეძლო სხვაფრივ მოქცეულიყო. აი ამას უნდა მივაქციოთ ყურადღება. ჯერ-ჯერობათ ჩვენ მეტს არას ვიტყით.

ახალი.

ცნობები

ქრისტეფორე ივანეს-ძე რაზმაძე მსახურებია აშალა—სერალში განსაკუთრებულ რაზმში, სასურსათო სამინისტროში. 2 მარიამობისთვის აქეთა არავითარი ცნობა არა მაქვს მისგან. ვინც იცის რაიმე მის შესახებ ვთხოვ შემატყობინოს შემდეგი მისამართით: მე-2 თუმანოვის ქუჩა № 25 ნანა რაზმაძეს.

განცხადებანი

საექიმო კაბინეტი
ექიმ **კ. თ. ტყეშელაშვილის**
მიიღებიან: ვენერიული, კანის, სიფილ. და სხვა გვარ სნეულებანი ავათმყოფები საშარდე და სასქესე ორგანოთა (606 და 914-ით წამლობა) მიხაილოვის საავათმყოფოსთან, ფოსტის ახლოს მიხაილოვის (№ 55) დაბელგიის (№ 1) ქუჩების კუთხე 5—7 ნახ. საათ.

ექიმი ქალი **რ. ბ. ფიშლო-საბაშვილი**
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ ქირურგიულ კოლლეჟისა. თფილისიდან წასვლის გამო ავადმყოფთა მიღება შეწყვეტილია 20 აგვისტომდე.

ექიმი **მ. ფ. მგალობლიშვილი**
ქალისა და სადოსტაქრო ავადმყოფების მიღება ყოველ დღე საღ. 5—7 საათ. ოლღას ქ. № 41, ტელ. 12—75.

ექიმი **მ. ა. შაფრანი**
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამ: ოლღას ქუჩა № 33.

ექიმი **დ. ი. ჯაფარიძე**
ღებულობს შინაგან, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულობით ავათმყოფებს დილის 12—1 ნახ. საათ. საღამოს 5—6 საათ. მისამართი: მადათოვის ქუჩა. № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, ტელეფონი 16—65.

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა **მ. ბ. მეგრაბიანცი**
შინაგანი ავადმყოფობა, ელექტრისა და გულისა, იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო—წამლობის კაბინეტში; ხასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით, დიდი სალენინდი და არსებული ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის, ღარიბებს უფასოთ, ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 ს. ბებუთოვის ქ. № 23, ტელ. 7—92.

ექიმი **ა. დ. კეკელია**
სიფილისი და ვენერიული სნეულებანი. მიღება დილით 9—11, საღამოთი 4—6 ს. მიხეილის პრო. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ № 116. ტელ. 14—28.

ექიმი **ნ. ლ. ტურიაშვილი**
მედიცინის დოკტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა იღებს შინაგან, საბებიო და ქალურ სნეულებ. სამშაბათობით და შაბათობით დილ. 8—10 საათ. დანარჩენ დღეებს დღის 12—2 ს. ნიკოლოზის ქუჩა № 7 სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით. ტელეფონი 14—13.

დოქტორი **მ. გოლდშტეინი**
ყოფილი ასისტენტი ბარონ როტშილდის მთავარი გოსპიტალისა და ჟენევის უნივერსიტეტის კლინიკისა.
თვალის ავადმყოფობანი. ამორჩევა სათვალეებისა. მიღება 8—12 საათამდე და 4—7 საათამდე ნიკოლოზის ქუჩა, № 32.

ექიმი **დ. ვ. ჯავახიშვილი**
გადავიდა ახალ ბინაზე და იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ დილას 8—9 ს. და საღამოს 4—7 საათამდის, მიხეილის პროსპექტი № 64, ტელეფონი 14—60.

ექიმი **ლ. ა. სარალიძე**
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87, ავჭალის აუდიტორიის ახლო.

ექიმი **ნიკოლოზ ივანეს ძე მახვილაძე**
იღებს სპეციალურად—მალარიით (ციება და მისი შედეგებით დასნეულებულთ) სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 4—6 საათამდე. ელექტრიზაცია. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის ახლო.

ექიმი **ლ. ი. ცაგარელი**
შინაგანი სნეულებანი. იღებს ავათმყოფებს საღ. 5—7 ს. პუშკინის ქუჩა, № 9.

დონის როსტოვის ქართველებმა დაარსეს სავაჭრო ამხანაგობა

„ივერია“

(კანტორის მისამართი: დონის როსტოვი, ტაგანროგის პროსპექტი სასტუმრო „პალას-ოტელი). წესდება დამტკიცებულია დონის მთავრობის მიერ.

ამხანაგობის მიზანია, აწარმოვოს ყოველგვარი საქონლინ გაცვლა-გამოცვლა საქართველოსა და რუსეთის ზოგიერთ ქალაქებთა შორის და ფაბრიკა-ზავოდების მოწყობა „საქართველოში ნედლი მასალის დასამუშავებლად“. ჯერ-ჯერობით გამოშვებულია ათასი პაი და ღირს თითო პაი **ასი თუმანი.** ამხანაგობამ უკვე შემოიტანა საქართველოს ტერიტორიაზე დიდძალი საქონელი და ეხლა ამზადებს გასატანათ სამაგიერო საქონელს.

საზოგადოებას ჰყავს მთავარი რწმუნებული ქ. **თფილისში:** ვლადიმერ გიგოს ძე სანაძე, (ალექსანდრეს ქ. სახლი № 16). და რწმუნებულნი **ფოთში:** ნიკო სიმონის ძე მახარაძე, **ოზურგეთში:** ივანე მაქსიმეს ძე ცომაია: **ნოვოროსისკში:** ნიკო თაყას ძე ნიკოლაიშვილი, **ეკატერინოდარში.** გიორგი ზაქარიას ძე შალუტაშვილი.

პაების შეძენა და ყოველგვარი ცნობების მიღება შეიძლება აღნიშნულ პირებთან. გამგეობის წევრნი: **ივ. გოგოლიშვილი, გრ. გორდელაძე სამ. პაიჭაძე.** (1—1)

სახალხო კინემატოგრაფი

კტკვრის პირას (მადათოვ. ბარიატინსკი კუთხე) გაშლილ მინდორზე დღითი კვირას 20 ივლისს

დიდი საგავშო დღესასწაული

ი. მ. სუნდუკიანცის ხელმძღვანელობით. თამაშობა, ცეკვა, საკონცერტო განყოფილება, საბავშო კინემატოგრაფი, ორკესტრი. დასაწყისი დღის 5 ნახ. საათზე დასასრული საღ. 9 საათზე. შესასვლელი 3 მანეთი. **სალამოს** ისტორიული დრამა რუსეთის რევოლიუციის დროიდან **რევოლიუციონერი**. დრამა ი. ნ. ჰერატიანისა, მონაწილეობს პერესტიანი, ბოგდანოვი და სგვა. მთელი შემოსავალი მოხმარდება უმუშევართა საჩაიეს. 1—1

21, 22 და 23 ივლისს ნაძალადევის თეატრის გაღმა

მოდით ღს ნახეთ ეკრანზე აღმშენებლობითი მუშაობა საქართველოსი რევოლიუციის ქარტეხილის დროს;

1) ღერძი ერისა დამფუძნებელი კრება, 2) ჩვენი სიამაყე გვარდიის დღე, 3) ჩვენი სიდიადე 26 მაისი, 4) მაშვრალთა სულის მესაუბრე ნინოშვილის ქრისტინე და 5) „ბათომის „ინფერენცია 1918 წ.“

მისი მნახველი დარწმუნდება ღირს თუ არა ბათომისათვის თავდადება, თუ კი მდგომარეობამ იგი მოითხოვა. (3—1)

დიტრიხის ამხანაგობის პივის საწყობი

(ყოფილი დიტრიხ).

მუზეუმის შესახვევი (ყოფილ სემინარიის პირდაპირ). „კავკასიის სასოფლო მეურნეობის სამრეწველოს“ ამხანაგობის საწყობში იყიდება **ექსპორტის პივა** ბოთლი 12 მან.

ხავერდიანი პივა 14 მან. ბოთლი.

საწყობი ღიაა ყოველ დღე 8—2 საათამდე და 4 ნახ. 6 საათამდე. კვირაობით საწყობი დილის 8—12 საათამდე. (3—1)

კვირას, 20 ივლისს, დღის 12 საათზე თეატრ კოლიზეიში (მიხეილის ქ. № 105) დანიშნულია

საზოგადო კრება

თფილისის ყველა გასტრონომიულ და ბაკალეინი მაღაზიების მეპატრონეთა. (2—2)

მსწრაფლმბეჭდავი სტამბა რუხაძისა, გაბაევის შესახვევი № 1.